ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპლიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 აგვისტოს N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება განპირობებულია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურში საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების შექმნით.

პროექტის ინიციატორი ვარ თავად.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში ნინო ვაჩეიშვილი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

გამგებელი: ირაკლი კუჭავა

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 აგვისტოს N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[I] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 აგვისტოს N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2 ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 აგვისტოს N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, 1 თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: ნინო ვაჩეიშვილმა

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 აგვისტოს № 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 აგვისტოს № 25 დადგენილებაში (სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.114.016206, www.matsne.gov.ge 14.08.2014) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,2. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;".

მუხლი 2.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-8 პუნქტი ,,8. მდივან-რეფერენტი".

მუხლი 3.

დადგენილებით დამტკიცებული დანართს დაემატოს მე-7^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7^1. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის გამგებლის გამართულ კომუნიკაციას საკრებულოსთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, იურიდიულ პირებთან, მოქალაქეებთან და სხვა გაერთიანებებთან;

ბ) მუნიციპალიტეტის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვას და ორგანიზებას;

გ) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაშუქებული მასალების ანალიზს;

დ) მუნიციპალიტეტის გამგებლის სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას;

ე) ადგილობრივი თვითმართველობის თანამდებობების პირების პრესკოფერენციების ჩატარების ორგანიზებას, გამგეობის საქმიანობის შესახებ ყოველთვიური პრეს– დაიჯესტების მომზადებას და გამოქვეყნებას, ადგილობრივი თუ მასობრივი მედია საშუალებებთან ურთიერთობის ხელშეწყობას;

ვ) გამგეობის საქმიანობის შესახებ ფოტო, აუდიო და პრეს–არქივის შექმნას;

ზ) ბეჭვდით თუ სხვა მედია საშუალებებში გასული ინფორმაციის მონიტორინგს;

თ) გამგეობის ხელმძღვანელი პირებისთვის ყოველდღიური და ყოველკვირეული მედია მონიტორინგის ანგარიშის წარდგენას;

ი) მუნიციპალიტეტის ვებ–გვერდისთვის მასალის მომზადებას.“

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: ნინო ვაჩეიშვილმა

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 აგვისტოს N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

- დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი: ბექა შენგელია